ქართველი სტუდენტის წარმატება

2018 წლის 22 დეკემბერი

განათლების საერთაშორისო ცენტრი იუწყება, რომ „ცენტრის სტიპენდიატმა გიორგი მაისურაძემ წარმატებით დაასრულა სწავლა მილანის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და მიიღო მაგისტრის ხარისხი არქიტექტურაში. მის მიერ მომზადებული სამაგისტრო თეზისი ეხებოდა სამეცნიერო ლაბორატორიის შენობას ფარმაცევტული კომპანიის NOVARTIS-ის კამპუსის ბაზაზე ბაზელში, შვეიცარია. აღნიშნულ პროექტზე გიორგი 2016 წლის სექტემბრიდან 2018 წლის დეკემბრამდე მუშაობდა და ხელმძღვანელებთან ერთად მოამზადა ტერიტორიის ურბანული ანალიზი, ასევე არქიტექტურული, კონსტრუქციული ნახაზები და შესაბამისი დოკუმენტაცია ვენტილაციის, გაგრილება - გათბობის, ტექნოლოგიური მხარის შესახებ.

აღნიშნული თეზისისთვის გიორგი მაისურაძემ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, თეზისი ,,Ordine dei architetti''-ის მიერ წლის პროექტადაა ნომინირებული".

გიორგი მაისურაძემ 2016 წელს წარმატებით დაამტავრა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატი წიტელ დიპლომზე. ბაკალავრიატის დამტავრებისტანავე სწავლა გააგრძელა მილანის პოლიტექნიკური ინსტოიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე.

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი ულოცავს გიორგის და უსურვებს შემოქმედებით წარმატებას!

POLITECNICO DI MILANO